13/03/2019

ფ/პ ელდარ გარდავა

ზუგდიდის რაიონ სოფ. ცაიშში სასათბურე მეეურნეობისთვის სარწყავი სისტემის მოწყობა

სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი ი/მ ლევან ზარანდია(62702019014)
574 552505

ქ. ზუგდიდი, 2019 წელი

1. შესავალი

ფ/პ ელდარ გარდავას სასარგებლობაში (იჯარა) არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია - **43.20.42.228**, მოწყობილი აქვს სასათბურე მეურნეობა 1000 m^2–ზე. სასათბურე მეურნეობის წყალმომარაგების მიზნით ელდარ გარდავა გეგმავს მდ. ჯუმიდან წყლის აღებას, რომელიც სათბურამდე მიყვანის მიზნით ითვალისწინებს მცირე ზომის სარწყავი სისტემის მოწყობას.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასათბურე მეურნეობის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი. ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილი #1

საქმიანობის განმახორციელებელი	ფ/პ ელდარ გარდავა
იურიდიული მისამართი	ქ. ზუგდიდი. სოფ. ცაიში
საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი	პ/ნ 19001025824
საქმიანობის სახე	სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მოყვანა
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სოფ. ცაიში

2. სასათბურე მეურნეობის ადგილმდებარეობა და ტექნოლოგიური პროცესი

სასათბურე მეურნეობა 1000 მ² მოწყობილია ფ/პ ნატო დაკარგულიას კუთვნილ 7143 მ² მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: **43.20.42.228**

წერტილი საიდანაც მოხდება წყლის აღება, სასათბურე მეურნეობიდან დაშორებულია 135 მ მანძილით. შესაბამისად, სარწყავი სისტემის საერთო სიგრძე იქნება 135 მეტრი, ხოლო მოწყობა განხორციელდება 30მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილებით.

მდ. ჯუმიდან წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია:

N	X	Y
1	730993	4700955

ფ/პ ელდარ გარდავას მოწყობილი აქვს სასათბურე მეურნეობა, სადაც ხდება ბოსტნეულის, კერძოდ კი კიტრის კულტურის მოყვანა. იგი წლის განმავლობაში აწარმოებს საშუალოდ 5 ტ კიტრს, რომლის მოსარწყავად გამოყენებული იქნება 360 მ³ წყალი 1 წლის განმავლობაში. ნიჩაბის საშუალებით მოხდება 30 სმ. სიღრმის და 135 მ სიგრძის მქონე ტრანშეის გაჭრა, რომლის სიგანეც იქნება 25 სმ. ტრანშეაში ჩაიდება 30 მმ პოლიეთილენის მილი და მოხდება მისი დაფარვა ამოღებული გრუნტითვე. მილის განთავსების ტერიტორიის გარკვეული ნაწილი განეკუთვნება ფ/პ ნატო დაკარგულიას, ასევე ადგილობრივ თვითმართველობას და სამუშაოების დაწყებამდე შეთანხმდება მათთან.

მდ. ჯუმიდან აღებული წყალი, მილების საშუალებით მიეწოდება 1ტ. ტევადობის რეზერვუარს, საიდანაც მოხდება მცენარეების მორწყვა.

ტერიტორია, სადაც დაგეგმილია სარწყავი სისტემის მოწყობა უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი, დაცილებულია დაახლოებით 10 მეტრით.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის დაცული ტერიტორია.

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისაგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში მიწისა და გრუნტის წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის,ვინაიდან სამუშაოების პროცესში არაა გათვალისწინებული სპეცტექნიკის გამოყენება,რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ნიადაგის დაბინძურება საწვავით და ასევე საზეთ საპოხი მასალებით.

ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას და გამოყენებული იქნება არსებული გზები.

3. საწარმოს მიერ გამოყენებული მასალები

ფ/პ ელდარ გარდავას მიერ, სარწყავი სისტემის მოწყობის მიზნით გამოყენებული იქნება 135მ სიგრძის და 30 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილი, ასევე 1 ცალი 1,5 $მ^3$/სთ წარმადობის ტუმბო წყლის მდინარიდან ამოსაღებად.

4. საწარმოს მიერ სარწყავი სისტემის მოწყობის პროცესში გამოსაყენებელი რესურსები

წყლის ტუმბო იმუშავებს ელექტროენერგიაზე და წელიწადში მოიხმარს 90 კილოვატ ელ. ენერგიას.

5. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები

სასათბურე მეურნეობა წელიწადში მოიხმარს 360 $მ^3$ ზედაპირულ წყალს. ვინაიდან წყალი გამოიყენება ბოსტნეული კულტურების მოსარწყავად, საწარმოს მიერ წყალჩაშვებას ადგილი არ ექნება.

6. სარწყავი სისტემის მოწყობის დროს ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა

სარწყავი სისტემის მოწყობის დროს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები არ წარმოიქმნება.

7. ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და გრუნტის წყლების დაბინძურება

მილის სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, მოსამზადებელი სამუშაოების ეტაპზე, მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. იქიდან გამომდინარე რომ მილისთვის გამოსაყენებელი ფართობი არის ძალიან მცირე, ნაყოფიერი ფენაც იქნება მცირე რაოდენობის, თუმცა მიუხედავად ამისა, ნიადაგის მოხსნა, დასაწყობება, და რეკულტივაცია განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობებისა და ასევე „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. იქიდან გამომდინარე, რომ მილისათვის განკუთვნილი ტრანშეის გაჭრა მოხდება ხელით და გამოყენებული არ იქნება ტექნიკა, გრუნტის წყლების დაბინძურება საზეთ-საპოხი მასალებით მოსალოდნელი არ არის.

მაწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 43.20.42.228

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018631362 - 17/07/2018 13:31:47

მომზადების თარიღი
23/07/2018 13:08:50

საკუთრების განყოფილება

მინა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
მუგდიდი	ცაიში		
43	**20**	**42**	**228**

მისამართი: რაიონი მუგდიდი , სოფელი ცაიში

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო)

დაზუსტებული ფართობი: 7143.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1-განაშენიანების ფართი 243.97კვ.მ., N2-განაშენიანების ფართი 47.34კვ.მ., N3-განაშენიანების ფართი 71.46კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015605256 , თარიღი 23/10/2015 13:44:29
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/10/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:23/10/2015 , სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"
- საარქივო ცნობა NAA2015071074-04 , დამოწმების თარიღი:30/09/2015 ,სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მუგდიდის არქივი

მესაკუთრეები:
ნაგო დაგარგულია ,P/N: 19001082939

მესაკუთრე:
ნაგო დაგარგულია

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892018278846 თარიღი 02/04/2018 15:53:24	**მეიჯარე: ნაგო დაგარგულია P/N: 19001082939;** **მოიჯარე: ელისო ლაგარია P/N: 19001035425;** **საგანი:დამუსტებული ფართობი: 7143.00 კვ.მ.-დან 500 კვ.მ ;** **საბოლოო თარიღი:31/03/2028;**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/04/2018	**იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N180340681, დამოწმების თარიღი30/03/2018, ნოტარიუსი ს.ქავაია**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892018631362 თარიღი 17/07/2018 13:31:47	**მეიჯარე: ნაგო დაგარგულია P/N: 19001082939;** **მოიჯარე: ელგუჯა ქირია P/N: 19001075109;** **საგანი:დამუსტებული ფართობი: 7143.00 კვ.მ.-დან 500 კვ.მ ; ;** **საბოლოო თარიღი:17/07/2028;**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/07/2018	**იჯარის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი17/07/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აუტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური სარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

описание.
Обозначе
?????
?????
?????
60